

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის კომპიუტერული
დამუშავების საკითხები ძველ ქართულში(წინათონური პერიოდი)

მარიამ დადუნაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე, ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი:

თარიღი:

აბსტრაქტი

ბუნებრივი ენის დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომლის წინაშეც დადგა ლინგვისტიკის მეცნიერება, განსაკუთრებით მისი გამოყენებითი მიმართულებები მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ფართო ისტორიულ კონტექსტში თუ განვიხილავთ თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკის ურთიერთმიმართების საკითხს, ცხადი გახდება, რომ ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში ყოველთვის აქტიურად ჩართული გამოყენებითი დარგები, მათ შორის ლინგვისტიკისა, გაცილებით ძველიცაა და კაცობრიობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სტიმულის მომცემიც. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობ იმგვარ გამოყენებით მიმართულებებს, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ტექსტების, ზოგადად, ინფორმაციის დოკუმენტირების სტანდარტების - ზეპირი, წერილობითი, ბეჭდური - შექმნასა თუ დახელოვნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო.

ამ პერსპექტივიდან თუ შევხედავთ ლინგვისტიკის თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი მიმართულებების განვითარებას, აშკარაა, რომ ციფრული ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქაში ბუნებრივი ენის მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება, დიდი მოცულობის ტექსტური ბაზების, ენის კორპუსების შექმნა ყოველი ენისთვის, მით უფრო მცირერიცხოვანის, როგორც მაგალითად, ქართულისთვის, სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანაა. ძველი ქართული ენის კორპუსების შექმნას და კომპიუტერულ მოდელირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა სამომავლოდ სამეცნიერო მიმოქცევაში აქტიურად დარჩეს ძველი კულტურული სამყაროს განუყოფელი ნაწილი, ქართულენოვანი მემკვიდრეობა.

ჩვენს შემთხვევაში ამ პრობლემის გადაჭრას ართულებს ისიც, რომ ინდოევროპულ, ან მსოფლიოს ბევრ სხვა ენასთან შედარებით, ქართულის ტექნოლოგიური დამუშავება გაცილებით გვიან, გასული საუკუნის ბოლოს, უფრო ზუსტად, ამ საუკუნის დამდეგს დაიწყო არც თუ სახარბიელო ტემპით.

რაც შეეხება ძველი ქართული ენის კომპიუტერულ დამუშავებას, მისი მორფოლოგიური ან მორფო-სინტაქსური მოდულებების შექმნას, ის მხოლოდ ახლა იწყება, უფრო ზუსტად, დაიწყო წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოები, შეიქმნა დიდი რაოდენობით ტექსტების შემცველი ანოტირებული (ე. წ. გარე ანოტირების სტანდარტით) ბაზები, მუშავდება ძველი ქართული მორფოლოგიის ცალკეული საკითხი, დიდი რაოდენობის ენობრივ მასალაზე გამოიცდება ამა თუ იმ კონკრეტული ლინგვისტური პრობლემატიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული შეხედულებები, გამოთქმული ჰიპოთეზები.

ამ მოსამზადებელი ეტაპის ნაწილია წარმოდგენილი კვლევა, რომელიც განხორციელდა ძველ ქართულ ენაში სახელთა ბრუნების, კერძოდ, ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის მოდელირებისთვის წესებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ეს უკანასკნელი ეყრდნობა კონკრეტული ეპოქის, წინათონური პერიოდის (V-X ს.) მთარგმნელობით ლიტერატურას, ბერძნულიდან სირიულიდან, ქრისტიანული არაბულიდან და სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებს.¹

კვლევისთვის ერთგვარი ბიძგი იყოს ძველ ქართულში პარალელური ფორმების განსაკუთრებული სიუხვე და, რაც მთავარია, მათი სიჭრელე; ამას ემატება ქართული ფილოლოგიის ერთგვარი ტენდენციურობა ძველი ფორმების აღდგენის სასარგებლოდ, რაც ყველა შემთხვევისთვის ერთნაირად სწორი ვერ იქნება. ამ გარემოებებს ემატება ქართულენოვანი ტექსტების გამოცემებში თანამედროვე ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური სტანდარტების არქონა, უფრო ზუსტად, კრიტიკული ტექსტის დადგენის კრიტერიუმების ნაკლებად, ან ზოგ შემთხვევაში მთლიანად უგულებელყოფა.

კვლევამ დაადასტურა, რომ პარალელური ფორმები, რომლებიც, როგორც წესი, ნორმის დარღვევად არის შეფასებული, წინათონური პერიოდის ქართული ენის ორგანული ნაწილია და მათი გათვალისწინება აუცილებელია მოდელირებისას. ნაშრომში ჯგუფებადაა დალაგებული ნორმის დარღვევის ტიპური მაგალითები და

¹ კვლევისას არაა გათვალისწინებული ბიბლიური წიგნების კანონიკური ტექსტების წინათონური თარგმანები; მათი რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი აუცილებელია საკვლევი საკითხის შესახებ სრულფასოვანი წარმოდგენის შესაქმნელად.

შემუშავებულია რეკომენდაციები, როგორ უნდა აისახოს ეს შემთხვევები მორფოლოგიური ანალიზატორისთვის გაწერილ წესებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება ძველ ქართულში, ატრიბუტული მსაზღვრელი, მართული მსაზღვრელი, პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობა, კორპუსი, კომპიუტერული მოდელირება.